ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 10
29/01/2016

10-08-4-201601291717

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი " 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 05 თებერვალს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:გელა ლომინეიშვილი

1.2. "ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელი:ბექა შენგელია

1.3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ორგანოების 2015 წლის საფინანსო საქმიანობის შემოწმების მიზნით დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის შესახებ.

მომხსენებელი: მაია პაიჭაძე

1.6. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდივანის საჯრო სკოლისათვის ისიდორე რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა